ხელშეკრულება №231/19-9
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. ზუგდიდი

1. ხელშეკრულების მხარეები

შპს "ენგურჰესი", იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი. ა. პოლიტკოვსკაიას ქ. #8, (ფაქტიური მდებარეობა გალის რ-ნი, დას. საბერიო) შემდგომში „შემსყიდველად“ წოდებული, მისი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის - ლევან მებონიას სახით, რომელიც მოქმედებს საწარმოს წესდების საფუძველზე ერთის მხრივ და

შპს „ხანდა“, იურიდიული მისამართი: თბილისი, ფონიჭალას #3., შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი დირექტორის - დავით კვირკვიას სახით, რომელიც მოქმედებს კომპანიის წესდების შესაბამისად

მეორეს მხრივ გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვების ჩატარების წესის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ,,შემსყიდველი" ავალებს, ხოლო ,,მიმწოდებელი" ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს საკუთრებაში **– ღორღი - 9 მ³.**

2.2. **კლასიფიკატორის კოდი: (CVP- 14210000).**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ერთი მ³ ქვიშის ღირებულებაა: 20 (ოცი) ლარი, შესაბამისად სახელშეკრულებო თანხა შეადგენს : 20*9=180 (ას ოთხმოც) ლარს კანონით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

ბ) გადასცეს „შემსყიდველს“ ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი.

გ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყონებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება ან შეცვალოს ახლით;

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

ბ) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება.

5. ინსპექტირება

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ინსპექტირების განხორციელების დროს.

5.2. ინსპექტირებას განახორციელებს: შპს ,,ენგურჰესი“-ს შესყიდვებისა და მომარაგების სამსახურის ექსპედიტორი - კ. გოგოხია.
5.3. შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელიც ფორმდება წერილობითი ფორმით. მიღება-ჩაბარების აქტს ადგენს მუდმივმოქმედი კომისია, საქონლის საბოლოო მიღების ადგილზე, შპს "ენგურჰესი"-ს სასაწყობე მეურნეობაში.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;
ბ) ანგარიშსწორების ფორმა -უნაღდო.
7.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

9. ხელშეკრულების პირობების შესრულება

9.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.01%-ის ოდენობით.
9.2 წინამდებარე ხელშეკრულების გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.01%-ის ოდენობით.
9.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს. შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2 თუ რამე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაში.

12.2 ხელშეკრულებების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დარჩენილი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულებაზე ბოლო კვალიფიციური ელექტრონული ხელისმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის განთავსების დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 7 ივლისამდე.

14. ფორს-მაჟორი

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებისა და დაუდევრობისაგან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება. დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოებების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ,

წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივ შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

15. სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონული ფორმით ქართულ ენაზე და აქვს იურიდიული ძალა.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
შპს "ენგურჰესი"	**შპს „ხანდა“**
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი.	ფაქტიური მისამართი: ქ. ზუგდიდი,
ა. პოლიტკოვსკაიას №8	სოფ. რუხი
სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია''	სს „თი ბი სი ბანკი“
ბ/კUGEBGE22 ს/კ 251716371	ს/კ 419991799
ა/ა GE97VT6600000003403403	ა/ა GE88TB7545136050100001
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე	დირექტორი
Levan Mebonia Подписано цифровой подписью: Levan Mebonia Дата: 2019.05.31 10:07:33 +04'00' ლ. მებონია	David Kvirkviya Подписано цифровой подписью: David Kvirkviya Дата: 2019.06.03 18:30:54 +04'00' დ. კვირკვია

ვიზა:

ფინანსური დირექტორი	Zviad Kilasonia	Digitally signed by Zviad Kilasonia Date: 2019.05.30 16:35:03 +04'00'
შესყიდვების სამსახური	Vakhtang Molashkhia	Digitally signed by Vakhtang Molashkhia Date: 2019.05.27 16:22:24 +04'00'
იურიდიული სამსახური	Medea Korsantia	Подписано цифровой подписью: Medea Korsantia Дата: 2019.05.30 16:18:02 +04'00'

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებთ, რომ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, №231/19-9 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებით, შპს "ხანდა"-სთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

შპს "ენგურჰესი"-ს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე	Levan Meboniа	Подписано цифровой подписью: Levan Mebonia Дата: 2019.05.31 10:08:14 +04'00'	ლ. მებონია
შპს „ენგურჰესი“-ს შესყიდვებისა და მომარაგების სამასახურის უფროსი	Vakhtang Molashkhia	Digitally signed by Vakhtang Molashkhia Date: 2019.05.27 16:21:32 +04'00'	ვ. მოლაშხია
შპს ,,ენგურჰესი“-ს შესყიდვებისა და მომარაგების სამსახურის ექსპედიტორი	Kalistrate Gogokhia	Digitally signed by Kalistrate Gogokhia Date: 2019.05.27 16:20:41 +04'00'	კ. გოგოხია